წელიწადი პირველი. ფასი 5 კაპ. ხუთშაბათი, 3 სექტემბერი 1915 წ. № 84

# საქართველო

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „საქართველოს“ რედაქციაში და კანტორაში ყოველდღე კვირა უქმეების გარდა, დილის 9—3-მდე, საღამოს 5—7-მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობანი.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: თბილისში, მოსკოვის ქუჩაზე, № 4.

ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ, редакція „Сакартвело“, поч. ящикъ № 76.

**განცხადების ფასი:**

ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე—10კ., სამგლოვიარო განცხადება პირველ გვერდზე თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 4 მან., 4 საათის შემდეგ (მიიღება მხოლოდ ს. ლოსაბერიძის სტამბაში, მოსკოვის ქუჩაზე) ღირება 5 მანეთი.

## „საქართველოს“ კანტორისაგან

გაზეთი „საქართველო“ 1 სექტემბრიდან წლის დამლევამდე ღირს 3 მ.—50 კ.

მოვაგონებთ იმ ხელის მომწერთ, ვისაც ხვედრი ფული არ აქვს გადახდილი გაზეთის გზავნა შეუჩერდებათ.

**მისამართი:** г. Тифлисъ, редакція „Сакартвело“, Московская 4, поч. ящикъ 76.

კანტორა უმორჩილესად სთხოვს თბილისის ხელის მოწერთ დაუყოვნებლივ აცნობონ კანტორას თუ ოდესმე მათ გაზეთი არ მიუვა.

---

## „ხარფუხის კლუბი“

საზაფხულო სადგომი, მიხეილის პროსპექტი, № 131.

**პროგრამა 2—7 სექტემბრამდის**

**ხუთშაბათი** 3 სექტემბერი. **საბავშვო საღამო:** სეირნობა, **სინემატოგრაფით,** ცეკვით და **ორკესტრით.**

**პარასკევი** 4 სექტემბერი. **რუსული წარმოდგენა** „Сердце Загадка“, კომედია 3 მოქ. ლ. ი. ივანოვსკის. ბაღში დაუკრავს „**დუდუკი**“ შესვლა წარმოდგენაზე უფასოა.

**შაბათი** 5 სექტემბერი. **სინემატოგრაფი,** ბაღში დაუკრავს **ორკესტრი.**

**კვირა** 6 სექტემბერი. **ქართული ოპერეტა;** ბაღში დაუკრავს სიმებიანი **ორკესტრი.** შესვლა ოპერეტაზე უფასოა.

სინემატოგრაფის დასაწყისი საღამოს 8½ საათზე, წარმოდგენის 9 საათზე, საბავშო საღამოსი 5—9 საათამდე. სტუმრები კლუბში შესასვლელად იხდიან ჩვეულებრივ ფასს.

---

## ქართველ ქალთა ამხანაგობის
### სახელოსნო სკოლაში

**25 მარიამობისთვიდგან 15 ენკენისთვემდე**

ამა წლისა, მიიღებენ მოწაფეთ 13 წლიდგან ვიდრე 16 წლამდე. საჭირო ცოდნა მხოლოდ ქართული წერა-კითხვისა.

აქვე, 1-ლ ენკენისთვიდგან მიიღებენ შესაკერად კაბებს ქალებისას და ბავშვებისას. აგრეთვე ყოველ გვარ საკერავს: თეთრეულს და ნაქარგს. ვერა გაბაანთ ქუჩა № 3

---

## კერძო საქალებო 4 კლასიანი სასწავლებელი

**ქნ. ანასტასია ლევანის ასულის ჩერქეზიშვილისა.**

(საანბანო, უმცროსი და უფროსი განყოფილება მოსამზადებელ კლასისა I, II, III, IV კლ.)

**მისაღები გამოცდა იწყება ყველა კლასებში 1 ენკენისთვეს**

1 ენკენისთვეს—რუსულ ენაში ყველა კლასებში
2 ენკენისთვეს—ანგარიში
3 ენკენისთვეს—ისტორია და სამღვთო რჯული
4 ენკენისთვეს—გეოგრაფიასი და ბუნების მეტყველობისა.

მისამართი: ალექსეევის ქუჩა № 17.

**სწავლა იწყება 5 ენკენისთვეს.** (10—7)

---

## ახალი სკოლა პანსიონით

**გიმნაზიის პროგრამით**

გაიხსნება საანბანო და მოსამზადებელი განყოფილებებით. ამზადებენ ბავშვებს ქართული გიმნაზიებისა, კერძო სკოლებისა და მთავრობის სასწავლებლებისათვის მეოთხე კლასამდე. დაწვრილებით ცნობების მიღება და ყმაწვილთა ჩაწერა შეიძლება ყოველ დღე დილის 9 საათიდგან 1 საათამდე. მისამართი: მამადავითის ქუჩა, № 36, ბინა მარიამ ერისთავისა. 8—6

---

**ხილეული, მადნეული და სამკურნალო წყლის**

ქარხნები

## მ. ე. ლაღიძე და ამხ.

თბილისში, გოლოვინის პრ. № 6. ქუთაისში, პუშკინის ქ. № 5.

**ხილეული წყლის მხმარებელი საზოგადოების საყურადღებოდ!**

ხილეული წყლის მხმარებელი საზოგადოების ჯანმრთელობის ინტერესი მოითხოვს: **სვან** ყოველთვის მხოლოდ და მარტო **მიტროფანე ლაღიძის** და **ამხანაგობის** ქარხნის **საუკეთესო** ხილეულ მადნეულის სამკურნალო **წყალი. მხოლოდ ლაღიძის** წყალი მზადდება **უმაღლესი** ღირსების **ბუნებრივი** მასალებისაგან, განსაკუთრებული წესით ნადუღი და გამოხდილი წყლით. გაუფრთხილდით ყალბ მიმბაძველებს, რომელთა რიცხვი მეტად გამრავლდა, **მოითხოვეთ ყველგან** ნამდვილი **ლაღიძის წყალი,** გემო და სუნი საამური აქვს და ჯანმრთელობისთვის სრულიად უვნებელია.

---

პირველხარისხოვანი

## სასადილო
## „კაფე ბორდო“

მიხეილის პროსპექტზე, № 18 და მიხეილის ქუჩაბანდი № 1.

**ჩაი, ყოველგვარი ცხელ-ცხელი საუზმე დილის 9 საათიდან 12 საათამდე. სადილი** 1—6 საათამდე. **სადილი** 2, 3 და 4 თავიანი. აგრეთვე ჩვენებური საჭმელები: **ხარჩო,** ღომი, საცივი, **ხაჭაპური,** ნაყინი და სხვა და სხვა ხილის წყალი, ცხელი „პიროჟკები“. თვიურად **მოსადილეთ** შეღავათი ეძლევათ. სადილს ვგზავნით **ოჯახებშიც.** სასადილო ღიაა დილის 8 საათიდან საღამოს 11 საათამდე.

პატივისცემით **რაჟდენ იოხელიანი.**

---

# განცხადება

ეკონომიური განყოფილება შავი ზღვის რკინის გზისა ამით აცხადებს იმ პირთა საყურადღებოდ, რომელთაც სურთ მიიღონ თავის თავზედ მოტანა რკინის გზის საჭიროებისთვის შემდეგი სანოვაგისა:

| | | |
|---|---|---|
| 1. პურის ფქვილი ყველა ან პირველ სორტისა | 7,500 | ფუთი |
| 2. მარილი ფუთიან ტომრებში . . | 290 | „ |
| 3. დამარილებული ღორის ქონი (სალა) . | 770 | „ |
| 4. სამარხვო, ანუ მზესუმზირას ზეთი . | 300 | „ |
| 5. ქვიშნის უგრეხელას მარცვალი, Гречн. крупа | 1500 | „ |
| 6. ფეტვი . , . . . . . | 1500 | ,, |
| 7. მუხუდო . . . . - , | 100 | ,, |
| 8. ხახვი . . . . . . | 125 | ,, |
| 9. ძმარში ჩადებული ჭარხალი (ბურაკი) . | 1.700 | ,, |

გარდა ამისა ყოველ თვიურად მოტანა

| | | |
|---|---|---|
| 1, კარტოფილისა . . . . | 1,500 | ,, |
| 2. კომბოსტოსი, ახალი ანუ დამჟავებული | 380 | ,, |

ფასები ზემოხსენებულ სანოვაგეზედ უნდა იყოს ნაჩვენები იმ ხარჯებთან ერთად, რასაც იღებს გამომგზავნელი რკინის გზის სადგური. მხოლოდ, რაც შეეხება სხვა ხარჯებს როგორიც გახლავთ სადგურ ახალსენაკამდის ტვირთის მოტანა, შავი ზღვის რკინის გზა თავის თავზე იღებს.

ვისაც სურს ზემოხსენებული სანოვაგის მოტანა იჯარით აიღოს, მათ უნდა განცხადება გაგზავნონ დახურულ პაკეტებით, რომელშიაც ნაჩვენები იქნება განმარტებითი ფასები, და ის რკინის გზის სადგური, რომლიდგანაც უნდა მას ამ სანოვაგის გამოგზავნა. პაკეტებზე უნდა ეწეროს სანოვაგე. განცხადებანი უნდა იყოს გაგზავნილი არა უგვიანეს 15 ენკენისთვისა შემდეგი მისამართით: Сочи, Начальнику хозяйственнаго отдѣла черноморской желѣзной дороги. (6—3)

---

## ტფ. ქართულ ფილარმონიული საზოგადოების
**სამუსიკო სკოლა**

**გადავიდა ახალ ბინაზე: სლეპცოვის ქ., ზელნიცკის სახლი. № 4.**

**მოწაფეთა მიღება დაიწყება 25 აგვისტოდან,**

10—2 ს.-მდე დღისით და 5—7 ს.-მდე საღამოთი სკოლის კანტორაში **მასწავლებელთა სია:** ფორტეპიანოს კლასი: **მ. გ. ანდრონიკოვა-ციციანოვა, ნ. ვ. კალაშნიკოვისა, ე. გ. ქიქოძე, ე. ი. მადატოვა-პოლტარაცკისა, ე. ვ. ფოგელისა, თ. ს. შაბუროვა;** სკრიპკა: **მ. ტ. ვასილევი, პ. ა. ტიზენგაუზი;** ვიოლენჩელი: **გ. დ. დილმელოვი;** კონტრაბასი: **მ. ი. შერშოგი;** სიმღერა (სოლო): **მ. ა. კოლოტოვისა;** თეორიის კლასები: **ზ. პ. ფალიაშვილი;** ხორო: **ზ. ი. ჩხიკვაძე;** ახლად მოწვეულია ფორტეპიანოზე მასწავლებელი. მოსკოვის კონსერვატორია დამთავრებული პროფეს. გოლდენვეიზერის კლასის თავისუფალი ხელოვანი **ე. დ. აბელაშვილისა.** მომავალი სამოსწავლო წლიდან სკოლაში დაარსდება სპეციალი კურსი იმ პირთათვის, რომელთაც სურთ შეისწავლონ თავისებურება ქართული მუსიკისა.

სწავლის ფასი: ფორტეპ. 70 მანეთი წელიწადში, სკრიპკა—75 მ. ვიოლონჩელი—65 მ., კონტრაბასი—50 მ., სიმღერა—100 მ., თეორიის კლასები—15 მ. სწავლის ფასი გადახდებათ ნახევარი წლობით წინდაწინ.

**პარაკლისი** გადახდილ იქნება 6 სექტემბერს შუადღის 1 საათზე

**სწავლა დაიწყება 1 სექტემბერს.**

---

**გადაწერას საწერ მანქანის საშვალებით და საწერ მანქანაზე მუშაობის სწავლებას ხელმისაწვდომ ფასებში ჰკისრულობს**

## ი. თ. გვათუას კანტორა

✦ **ვერის დაღმართი № 1** ✦

ტელეფონი 17—05

---

**დოქტორი მედიცინისა**

მოსე ანთიმოსის ძე

## კალანდარიშვილი

უმფროსი ექიმი ტფ. კადეტთა კორპუსისა. **ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან** ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე საღამოს 5—6 საათ, ოლღას ქუჩა, № 3, სახლი მელიქ-აზარიანცისა.

---

**ქ. გორში**

## ექიმი ნ. მ. კლიმიაშვილი

იღებს შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფებს.

აკაკის ქუჩა, შეფის აფთიაქთან

---

# ომის ამბები

## ჟურნალ-გაზეთებიდან

### იტალიის პრესა.

იტალიის პრესა დიდის ყურადღებით შეეხო საფრანგეთის ჯარის მთავარ სარდლის ჟოფრის ჩამოსვლას იტალიის ჯარის მთავარ სადგომში.

გენერალისიმუსი ჟოფრის ჩამოსვლა უბრალო პასუხი არ არის იმ ვიზიტისა, რომელიც გენერალმა პორომ, იტალიის გენერალურ შტაბის უფროსმა, გაუმართა საფრანგეთის მთავარ სადგომს. გაზეთები ალტაცებით აღწერდნენ ჟოფრის ყოფნას იტალიის ფრონტზე. ჟოფრმა დიდი ხანი დაჰყო მოწინავე პოზიციებზე და დაწვრილებით დაათვალიერა და შეისწავლა ჯართა სტრატეგიული დგომა.

გაზეთი „Socolo“-ს ჟოფრის ჩამოსვლა მიაჩნია მოკავშირეთა ჯარების სოლიდარულ თანამშრომლობის სიმპტომად ახლო მომავალში. ჟოფრის ჩამოსვლა, გაზეთის აზრით, საზეიმო დამტკიცებაა ლათინთა ერების ბრძოლითი ერთობისა, რომელიც ერთად ერთი საწინდარია ავსტრია-გერმანიის შემოტევის შემუსვრისა.

ნახევრად ოფიციოზი „Siornale d'italio“ სწერს: მოკავშირე ჯარების ბელადებისაგან ერთმანეთის ნახვა მკაფიოდ განსაზღვრულ მიზანს ემსახურება—სახელდობრ იმას, რომ შეათანხმონ, შეუწყონ ერთმანეთს მოკავშირეთა ჯარების სამხედრო ოპერაციები.

### ინგლისური გაზეთი „Times“ ხელმწიფის მიერ სარდლობის მიღებაზე.

გაზეთი სწერს: მაღალ სარდლობაში მომხდარი ცვლილება გარეგანი გამოხატულებაა იმ ღრმა სარეფორმო მოძრაობისა, რომელიც რუსეთში მოხდა ამ უკანასკნელ თვეებშიო. თვით ხელმწიფემ მიიღო მთავარსარდლობა რომ გერმანელების ძალაობისაგან გაანთავისუფლოს რუსის ხალხიო.

### გერმანელ ფინანსისტების კონსორციუმი.

მარგილომანის შემწეობით გერმანელ ფინანსისტთა კონსორციუმმა ბუქარესტში დაარსა ერთი საზოგადოება პირველ საჭიროების საგნების საყიდლად და გასაზიდათ.

### რუსეთის მოძულე პოლონელის დანიშვნა ვარშავაში.

ბერლინიდან იუწყებიან ვარშავის გუბერნატორს ბარონ-შეფერ-ბოიადელიუს დაუნიშნეს მოხელედ ერთი პოზნანელი მდიდარი მემამულე კვილეცკი, რომელმაც ამასწინად გამოსცა საგიტაციო ბროშურა, სადაც აშკარად გატარებულია რუსოფობური აზრები. ბროშურამ დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია პოლონელთა პოლიტიკურ წრეებში, რადგანაც ეს ბროშურა ამტკიცებდა, მხოლოდ გერმანიას შეუძლია პოლონელებს დამოუკიდებლობა დაუბრუნოსო.

### სომეხთა სიკვდილით დასჯა.

სტამბოლის სამხედრო კომენდანტმა ბრძანება გასცა ქალაქში გააკრან განცხადებანი, რომელნიც ადასტურებენ გაზეთების პირვანდელ ცნობას, რომ უკანასკნელ დროში სომხის დიდძალი საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწენი სიკვდილით იქმნენ დასჯილნი ოსმალეთის წინაშე ღალატის ჩადენისათვის.

### ლატიშთა „მეფე“.

ლატიშთა გაზეთი „Rig. S.“-სი იუწყება, რომ ლატვისა და ლიტვის მეფედ დაუნიშნიათ ვილჰელმის შვილი იოახიმი. მისი ტიტულია იოახიმ პირველი. პრინცი იოახიმი იმდენად გათამამებულა, რომ ეხლავე ბარონებისთვის მოუყრია თავი და ლატიშურ ენის შესწავლასაც შესდგომიაო.

### ავსტრო-გერმანელთა ჯარები სერბიის საზღვრებზე.

ავსტრო-გერმანელებს ჯერჯერობით რუმინიის საზღვრებზე ხუთ კორპუსამდე მოუყვანიათ. ხმებია, ბულგარებთან შეთანხმებით რუმინიის წინააღმდეგ გაილაშქრებენ ამ მოკლე ხანშიო.

### ბულგარეთი და ოსმალეთი.

ბულგარეთ-ოსმალეთს ხელშეკრულობაზე ჯერ კიდევ 3 ენკენისთვეს (ახ. სტილით) მოუწერიათ ხელი.

### გერმანიის ცნებანი.

გერმანიის საფინანსო უწყების სტატს-სეკრეტარის ბონ გელფერიხის სიტყვა, რომელიც რეიხსტაგის 20 აგვისტოს სხდომაზე, იყო წარმოთქმული და რომლითაც, ოოგორც დამატებითი თანხა ათი მილიარდი მარკა მოითხოვა სამხედრო ხარჯის დასაფარავად, საყურადღებოა იმ მხრივაც, რომ ამ სიტყვაში მოსჩანს, თუ რას მოითხოვს გამარჯვებული გერმანია მტრებისაგან. ამ სიტყვიდან

სჩანს, რომ ყოველდღიური ხარჯი ყველა მეომარ სახელმწიფოსი აღწევს 300 მილიონამდე; თვეში დაახლოვებით 8 მილიარდამდე, წელიწადში 100 მილიარდამდე. აქედან ორი მესამედი ხარჯისა გერმანიის წინაალმდეგ მებრძოლ სახელმწიფოებს უწევს და მხოლოდ ერთი მესამედი გერმანიასა და მის მოკავშირეს. ამნაირად მარტო გერმანია თვიურად ორ მილიარდამდე ხარჯავს. ე. ი. რასაც ეხლა ერთ თვის განმავლობაში გერმანია ხარჯავს, ის ჯამი ერთი მესამედით მეტია, ვიდრე მთელი ის თანხა, რომელიც მან დახარჯა 1876—71 წ. წ., საფრანგეთთან ომის დროს. ახალ კანონპროექტის მიღებამდე რეიხსტაგმა მიიღო 20 მილიარდი მარკის სამხედრო კრედიტი, ე. ი. დაახლოვებით იმდენი რამდენიც ღირს გერმანიის მთელი რკინისგზის ქსელი ყველა შენობითა და მოძრავ მასალითურთ. უკანასკნელ დრომდე გერმანია ხარჯავდა ყველაზედ მეტს, მაგრამ ეხლა ინგლისი უსწრობს წინ, რომელიც ყოველდღე ხარჯავს 80 მილიონ მარკას. გელფერიხი ცდილობს თავის სიტყვაში დაამტკიცოს, რომ ფინანსიურის მხრით გერმანია უკეთეს მდგომარეობაშია ვიდრე ინგლისი. ჩვენაო, სთქვა ფინანსთა მინისტრმა, უნდა ვეცადნეთ რომ მომავალში გერმანიის ხალხის ცხოვრების დონემ არ დაიწიოს. მილიარდების ტყვიისებური სიძვირე ჩვენ არ დაგვაწვება, არამედ იმ სახელმწიფოებს რომელთაც ომი დაიწყეს. კარგად გვესმის რომ ეს ძალიან ძნელი საქმეა, მაგრამ რის გაკეთებაც შესაძლებელია, ყველაფერს გავაკეთებთ ამ მიმართულებით. სხვანაირად რომ ითქვას, გერმანიას აზრად აქვს მის მოწინაალმდეგე კოალიციას გადაახდევინოს უზარმაზარი კონტრიბუცია. გელფერიხის აზრით, ომიანობის ყოველ ერთ წლის კვალობაზე მოწინაალმდეგეებმა გერმანიას უნდა გადაუხადონ კონტრიბუციად 80 მილიარდი მარკა, რომელსაც გერმანია და მისი მოკავშირე ხარჯავენ წლიურად თავის მხრივ.

# ᲨᲢᲐᲑᲘᲡ ᲓᲔᲞᲔᲨᲔᲑᲘ

**ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ**, 1 სექტემბერი. კავკასიის ჯარის შტაბისაგან. აგვისტოს 30 ზღვის პირის რაიონში სროლაა.

**ᲞᲔᲢᲠᲝᲒᲠᲐᲓᲘ**, 1 სექტ. ოფიციალი. გერმანელთა შეტევა პიკსტეინის ტბის რაიონში, საუკენთან და სოფ. რაკიშკისთან, იაკობშტადტ-დვინსკის დასავლეთ ხაზზე, მეტად მკაცრ ხასიათს იღებს. პოდბროზეს რკინის გზის სადგურის რაიონში გერმანელთა არა ერთი იერიში მოგერებულ იქმნა რუსების მიერ. პოდბროზეს დასავლეთით მეიშაგოლის რაიონში გერმანელები ძველებური სიმძაფრით მოდიან წინ. ორანის რაიონში. როგორსოველ ფოსსოვთან, გერმანელები ფრთხილად მოდიან აღმოსავლეთისკენ. ყველაზე სერიოზული ბრძოლა ჰხდება სოფ. მოსტის რაიონში და სოფ. ოზერნიცასთან, სლომინის დასავლეთით. მდ. პინის დასავლეთით გერმანელთა ცხენოსნებმა დაიხიეს მდ. ტურია-პრიპიატზე. ზვიზდუესთან, დერჟანოს რაიონში, რუსები მარჯვედ გედავიდნენ გორინზე და ბრძოლით წინ წავიდნენ, ამასთანავე ტყვედ წამოიყვანეს ავსტრიელთა მთელი ბათალიონი. დერჟანოს რაიონში და კლევანში მტერი იერიშით წამოვიდა, მაგრამ დროზე შეკავებული იქმნა. რუსები ენერგიული კონტრიერიშით კლევანის დასავლეთ-რაიონისკენ გაიჭრნენ, სადაც სოფ. ოლეშვასთან 1,300 მეტი ტყვე წამოიყვანეს 31 აგვ. რუსის ჯარებმა ქალ. ვიშნევეცთან, სოფ. რიდომელიდინ და მის მიდამოებიდან განდევნეს გერმანელები, რომელთაც სწრაფად დაიხიეს. დიდი ზარალითვე გარეკილ იქმნენ სოფ. როსტოკიდანაც. ტყვეების რიცხვი ჯერჯერობით 2 ათასს უდრის. გერმანელების მეცადინეობამ, რომ იერიშით წამოსულიყვნენ, ვერაფერი ნაყოფი გამოიღო და გონტოვი დიტკოვცის რაიონში და ვიშნევცის სამხრეთ-დასავლეთით შეჩერებულ იქმნენ რუსთა ცეცხლის მიერ. აქაც ტყვედ წამოიყვანეს 140 აფიცრამდე, 73,300 ჯარის კაცი, ერთი მძიმე ზარბაზანი, 6 სუმბუქი, 4 გატენილი ყუთი, 6 ტყვიის მფრქვეველი და მრავალი დავლა. გალიციაში ავსტრიელთა დევნის დროს მდ. სერეტის ფრონტზე რამდენიმე ცხარე ბრძოლა მოხდა სოფ. გლიადკტთან, ცებროვთან, იუზეფოვკასთან, ტარნოპოლის დასავლეთით და სოფ. ძვინიანთან ზალეშჩიკოვის რაიონში. 30 აგვ. იუზეფოვკასთან და ძვინიაჩთან 2.700 ჯარის კაცი იქმნა ტყვედ წამოყვანილი 35 აფიცრითურთ, 4 ტყვიისმფრქვეველით. 17—30 აგვისტომდე ავსტრო-გერმანელ ტყვეთა რიცხვი 40,000 კაცს უდრის.

შავ ზღვაში ქვანახშირის რაიონში რუსთა ნაღმოსნებმა დაჰლუპეს მოზრდილი ხომალდი.

**ᲞᲔᲢᲠᲝᲒᲠᲐᲓᲘ**, 31 აგვ. ხელმწიფე იმპერატორმა თავს იდვა თუ არა ხმელეთის ჯარისა და ფლოტის ხელმძღვანელობა დეპეშა გაუგზავნა საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტს, რომელიც გაზეთებში უკვე გამოცხადებული იყო. ეხლა კიდევ, 24 მარიამობისთვეს მისმა უდიდებულესობამ შემდეგი შინაარსის დეპეშები გაუგზავნა ინგლისის მეფეს:

„ამ სერიოზულ დროს, რომელშიც ჩემი ქვეყანა იმყოფება, გადავწყვიტე ჩემი ჯარის ხელმძღვანელობა. გატყობინებთ რა ამას თქვენ, კვლავ გამოვსთქვამ იმედს, რომ ღვთისა შეწევნითა და მოკავშირეთა გაერთიანებულ მეცადინეობით კეთილად დაგვირგვინდება ჩვენი გამარჯვება ამ სისხლისმღვრელ ომისა

იტალიის მეფეს:

ვდგები რა დღეს ჩემი ჯარის სათავეში, მე ამავე დღეს გამოვსთქვამ თქვენი უდიდებულესობის წინაშე, ჩემ უგულწრფელეს სურვილებს და ჩემ ულრმეს რწმენას, რომ ურთიერთ დახმარება ჩვენ მოკავშირე სახელმწიფოთა დღითიდღე გვიახლოვებს შარავანდედით მოსილ გამარჯვებას.

ბელგიის მეფეს:

ვდგები რა დღეს ჩემი ჯარის სათავეში, სიამოვნებით მოვმართავ თქვენს უდიდებულესობას და გამოვთქვამ უგულითადეს სურვილებს თქვენი უდიდებულესობისა და თქვენი კეთილშობილ და გმირ ჯარის საკეთილდღეოდ.

სერბიის მეფეს:

დღეს, როდესაც ვიკისრე ხელმძღვანელობა ჩემის ჯარისა, მივმართავ თქვენს უდიდებულესობას და სახელოვან სერბიას მხურვალე სურვილებით ბედნიერებისა და გამარჯვებისა გმირ სერბიის ხალხისა და მის სახელოვან ჯარისა.

ჩერნოგორიის მეფეს:

ვიკისრე რა დღეს ჩემი ჯარის უმაღლესი ხელმძღვანელობა. მივმართავ თქვენს უდიდებულესობას მხურვალე სურვილებით თქვენი უდიდებულესობის ქვეყნისა და თქვენი სახელოვან იარაღის საკეთილდღეოდ.

იაპონიის იმპერატორს:

ვიჩქარი ვაუწყო თქვენს უდიდებულესობას, რომ მე ვიკისრე დღეს ჩემი ჯარის უმაღლესი ხელმძღვანელობა. ამიტომ მივმართავ თქვენს უდიდებულესობას და გულით უსურვებ თქვენს იმპერიას და თქვენს სახელოვან იაპონიის ჯარს კეთილ-წარმატებას.

**ინგლისის მეფის პასუხი:**

ალტაცებული ვარ, როცა მესმის, რომ თქვენ იკისრეთ ხელმძღვანელობა მომქმედ ჯარისა. გულწრფელად ვიზიარებ თქვენს რწმენას, რომ შეწევნითა ღვთისათა თქვენ და თქვენი მამაცი ჯარი მოკავშირეთა ჯარებთან ერთად მიაღწევთ საბოლაო გამარჯვებას მტკიცე და საპატიო ზავით. ჩემი აზრები არასოდეს არ ყოფილან თქვენთან ისე, როგორც ამ საშინელ დროს.

**იტალიის მეფის პასუხი:**

მადლობას უძღვნი თქვენს უდიდებულესობას იმ კეთილის სურვილებისთვის, რომელიც კეთილ ინება და გამომიცხადა თქვენმა უდიდებულესობამ. დარწმუნებული ჩვენი საერთო ძალების გამარჯვებაში, მე ჩემის მხრივ გულწრფელად უსურვებ თქვენს უდიდებულესობას ბედნიერებას და გამარჯვებას სახელოვან რუსის ჯარს, რომლის უმაღლესი ხელმძღვანელობა ესეც არის გიკისრიათ თქვენ.

**სერბიის მეფის პასუხი:**

გულით ვმადლობ თქვენს უდიდებულესობას იმ გულითადი სიტყვებისთვის, რომლითაც მიმართეთ თქვენ სერბიას. ვგრძნობ რა მოთხოვნილებას გამოვთქვა თქვენი უდიდებულესობის წინაშე სერბიის ერისა და ჯარის კეთილი გრძნობანი, რომლის სრული და ჭეშმარიტი გამომსახველიც ვარ მე, და რომლითაც მოუწოდებთ უძლეველ რუსის ჯარს—ვიმედოვნებ, რომ შეწევნითა ღვთისათა და თქვენის უმაღლესის ხელმძღვანელობით მიაღწევს თქვენი ჯარი სახელოვან გამარჯვებას.

**იაპონიის იმპერატორის პასუხი:**

მე სიხარულით შევეგებე იმ ამბავს, რომ თქვენ უდიდებულესობას უკისრია სახელოვან რუსის ჯარის ხელმძღვანელობა. დიდად ვმადლობ თქვენს უდიდებულესობას იმ კეთილ სურვილებისთვის, რომლითაც თქვენ მომმართეთ. ეს მომართვა კვალად ამტკიცებს ჩვენს მეგობრობას, რაც ასე ძვირფასია ჩემთვის. დარწმუნებული რუსის ჯარის საბოლაო გამარჯვებაში—უსურვებ თქვენს უდიდებულესობას მრავალჟამიერს.

# ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲡᲐᲥᲛᲔ

წმინდა "შინაურ" საქმეთა შორის, ეროვნულ გაერთიანების საქმეს პირველი ადგილი უნდა დაეთმოს. იდეა ეროვნული მთლიანობისა და ეროვნული თანაზიარობისა სავალდებულო, თანდაყოლილი იდეა არ გახლავთ. ფაქტიურად ეროვნულ კრებულში მოიპოება როგორც საერთო ნიადაგი და შემაერთებელი მომენტი, აგრეთვე გამყოფი მომენტი და გამაცალკევებელი ნიადაგიც. საჭიროა ამ განმათვითებელ ფაქტორებზე მაღლა დადგომა, საჭიროა ხშირად მათი სრული აბსტრაქცია, რომ ეროვნების საერთო და საზიარო ხასიათი ნათელი და ცხადი გახდეს. ასეთი მუშაობა-კი რთული გონებრივი აქტია, რომელიც მომზადებასა და გონება-გახსნილობას მოითხოვს. ამიტომაც, ეროვნულ მთლიანობის შექმნაში ყოველ პიროვნებას თანაბარი წვლილის შეტანა არ ეხელმწიფების. დღევანდელი ქართული სინამდვილე სამწუხაროდ ქსელია ნაირ-ნაირ დაბრკოლებისა, რომელიც წინ ელობება ქართულ ეროვნულ გაერთიანებისა და შესისხლხორცების პროცესს.

ჩვენი სინამდვილის ამ ხასიათის მთავარ ელემენტად უნდა ჩაითვალოს ის სარწმუნოებრივი სხვადასხვაობა, რომელიც სუფევს დღევანდელ ქართველობაში. ორი ერთიმეორის მოწინაალმდეგე რელიგია, ბრძანებლობს დღეს ქართველთა რელიგიურ სინიდისს. შეურიგებელმა ბრძოლის საგნად გაიხადეს ქართული ეროვნობა. და სხვა და სხვა დროს უთანაბრო სიმწვავით სწიწკნიდა ჩვენს ეროვნულს სხეულს მათი შეჯახება. ამ ფაქტორის ზედგავლენით დაწყებული რღვევა საქართველოს ეროვნულ მთლიანობისა, დღესაც არ გათავებულა. მართალია, ამ რელიგიურ შეჯახების პირველ სიბასრის ხანამ ჩაიარა. და საქართველოს ორგანიზმს ფიზიკური ჭრილობა ამ მხრივ კარგა ხანია არ განუცდია, მაგრამ პირველ შეჯახების დამღუპველმა შედეგმა დღემდე თითქმის უცვლელად მიაღწია. იმ თავითვე შუაში გაჭრილი საქართველო ორად გაყოფილი დარჩა.

სამაჰმადიანო საქართველომ კავშირი გასწყვიტა დანარჩენ საქართველოსთან, დაივიწყა თვისი ერთ-ხორცი და ერთსისხლი ძმა. მან დაჰკარგა ქართული ეროვნული შეგნება. სარწმუნოებამ ეროვნება დაამარცხა და ჩვენს ეროვნულ საქმეს დღესაც დიდ საფრთხეს უქადის ესეთი ვითარება. ამ მხრივ ბატონი ედილის წერილი, „საქართველოს“ 82 ნომერში

# ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ

XII

მოძრაობა ისე ჩქარა არ შეწყვეტილა, როგორც ღვთისოს ჰქონდა წარმოდგენილი.

მოძრაობაიგი მეტოდიურად ვითარდებოდა და მჭიდრო ორგანიზაციულ სახეს იღებდა. გამოზაფხულდა და თითქოს ვიღაცის ჯადოსნურ კვერთხის დარტყმით ყველა ქარხნის მუშები გაიფიცნენ. ღვთისოს ბევრიც რომ მოესურვებინა, ვერას გზით ვერ შეაჩერებდა სტიქიის მიერ დატრიალებულ ბორბალს. მოგებით კი ის მოიგო, რომ ამხანაგებში სახელი გაუტყდა, ყველა მოღალატეს უძახდა, ჯაშუშს, საზიზღარ გამცემს, თუმცა ასეთი სახელი მას არ დაუმსახურებია. ღვთისო დაიღვრიმა. მას შინაგანი ხმა ნელ-ნელ თითქოს ელვიძებოდა და პასუხს სთხოვდა თვითონვე გამოეცნო, თუ რად უძახიან ჯაშუშს, რატომ აითვალისწინეს ამხანაგებმა.

— ჩემს ქერქში დამაყენონ, კაცო,— უთქვია თავისთვის,—ვის რა ვირი მოვპარე. არავის ვედავები, ნურც ნურავინ მედავება..,

ერთხელ იმდენად აალელვეს, რომ გაბრაზებული შინაც არ დაბრუნებულა, იქვე განაპირა გორაკისკენ გაეშურა და განმარტოებით აქ მიეცა შავ-ბნელ ფიქრებსა. ქარი ბღაოდა. ოდნავ წვიმა ხან წამოუშენდა, ხან ისევ გადიღებდა. მაგრამ ღვთისოს სულ სხვაგვარი ქარიშხალი ურყევდა სულის სამეფოს. ისე გრძნობდა, თითქოს ფრჩხილებით თმებსა ჰგლეჯდენ, ხორცს უწიწკნიანო,

— რას ჩამაცივდნენ, რას,—ჰფიქრობდა იგი,—რა დანაშაული მიმიძღვის, რა?

სოციალიზმი ღვთისოსთვის პირველ დასჯის შემდეგ გაუგებარ სიტყვების ბოდიალს წარმოადგენდა. მაშ ნუ თუ იმისთვის შეიძულეს, რომ ბოდვაზე ის მხარს არ უჭერს, ნუ თუ ყოველი ბედნიერება ასეთი ბოდვის ატლასით იმოსება?

— მაშ გიჟები ყველაზე მეტად ბედნიერები არიან, რადგანაც ყველაზედ მეტს ჰბოდავენ ხოლმე.

მას გაახსენდა სოფელში საბრალო ლუტა, რომელიც მთვარეზე შეიშალა და ფანტასტიურ სურათების ბოდვით მთელ სოფელს სიცილით ჰკლავდა.

— მე და ჩემმა ღმერთმა, ლუტა უფრო ჭკვიანურს ამბობდა ხოლმე...

ღიმილით ჩაილაპარაკა ღვთისომ.

რამდენსაც დაუკვირდა, იმდენად ფიქრის ხლართულში ჩაიჭედა, თავ-გზა აებნა. მაგრამ აი, სიომ დაჰბერა, მას თითქოს გონება გაუნათლდა და მის თვალების წინ ჩამოფარებული გაუმჭვირვალი სქელი ფარდა ჩამოაცალა. იგი თანდათანობით გამოერკვა. პირველი აღმოჩენა ის იყო, რომ მისი მდგომარეობა და ამხანაგებისა ერთმანეთსა ჰგავდა, მისი საძიებელი ბედნიერებაც კვლავ იმავ ამხანაგების საკითხის ძმობილი გახლდათ. თუ ვერ უპოვიათ იგი, მხოლოდ იმიტომ, რომ მთელი ცხოვრება უწესრიგოდაა მოწყობილი. და თუ ის ასე არ არის, მაშ რა უნდა მას აქ? რად გამოაშორეს სოფელს? რატომ მოსტაცეს ის თეთრ თოვლიანი მწვერვალები, სადაც მისი სიყრმის ალღო არწივის ფრთებით დაჰქროლავდა? რად გამოსტაცეს ნიადაგი, რად? რატომ არ იცოდნენ, რომ უნიადაგო ადამიანი იგივე მღილია, უმწეო მწერი, უსახო არსება, რომელსაც სიცოცხლის ალღო არც კი ახლავს? რა არის ეხლა ღვთისო? განახევრებული ყოფილი არსის აჩრდილი, რომელსაც ცოტაოდენი ძალღონე კიდევ შერჩენია, რომ ბაზარზე გაიტანოს გასასყიდად. სხვაფრივ მორჩა, წავიდა... რაც სოფელს მოსწყდა, დაიმარხა იმისი გული, მისი ადამიანობა, რწმენა, იმედი, სიყვარული... ყოველისფერი იქ დასამარდა, იქ... საყვარელ სოფელთან განშორების ჟამს... მაშ ვილასთვის ან რილასთვის გასწიროს აქ თავი? რისთვის იბრძოლოს რაღაცა გამოცანა იდეალებისთვის? ან და რით, რა ძალით? ეხლა სიჭაბუკეს ველარავინ ვერ დაუბრუნებს, ეს იმ სიჭაბუკეს, რომელიც ერთი შინდის ძირის ანაბარად თვით სტიქიასაც კი დასთრგუნავდა. მაშინ მწვერვალებზე ფრენა, ოცნების სამთავროს გადალახვა, აბობოქრებულ ზღვასთან ბრძოლა ადვილი იყო. უზომო რწმენით და ნათელი შეგნებით იგი ამაყი რაინდი იყო, თვით ვარსკვლავებთან მოჭიდავე ფალავანი. იმ დროს ჭაბუკურის გატაცებით იგი პირისპირ შეჰყურებდა თვალ-წარმტაც თმა გაშლილ ქალწულს,

მაგრამ აკი ეს ქალწული თვითვე მოუკლეს? აკი სოფელთან განშორებით ყოველისფერი ეს ისე გაუქრეს, როგორც რომელიმე ფორტუნას ძღვენი! მაშ რაღა უნდათ, რას აყვედრიან, რომელი აღთქმული ქვეყნით უბრუებენ გონს? აღთქმული ქვეყანა მისი სოფელი იყო. წაიყვათ იქ და იგი დაგანახვებთ ზურმუხტით მოჭედილს ცხოვრებას, იქ თქვენ განახვებთ ადამიანს, ამ ცნების უაღრეს მნიშვნელობით და არა აჩრდილს... იქ, იმ დაკარგულს აღთქმულ ქვეყანაში გაისმის ხელთუქნარი ქნარის წკრიალი, რომელიც თვით მკვდრებსაც კი აღადგენს საფლავით! წკრიალი იგი თვით სიცოცხლის ძახილი გახლავთ, აღტაცების აღტაცება, ბედნიერების სიკეკლუცე! იქ, იმ აღთქმულს ქვეყნის დახშულ მწვერვალზე ერთხელ კიდევ აღირსეთ ასვლა, მთელის მკერდით ამოსუნთქება და მაშინ ნახავთ, თუ როგორ აცისკრდეს ღვთისო, როგორ წარმოგიდგინოთ მან სრულ ადამიანის საიდეალო სახიერება! მაშინ, მხოლოდ მაშინ მიხვდებით საიდუმლოს გამოჩინებას, რომ რაც არის, ისევ სოფელი, რომ ადამიანთა მოდგმა ჯერ არ გამქრალა, რომ არის კიდევ კურთხეული ნიადაგი სისალისა და სიხარულის აღმომცენებელი, რასაც კვლავ იგივე სოფელი განამზადებს მომაკვდავთათვის! შესდექით ამ დაკარგულს ნიადაგზე, შესდექით და განიკურნებით. თქვენ იგრძნობთ განახლებას, აღორძინების დასაწყისსა... აჩრდილის ხორცშესხმულობას.. გაადამიანებას... ნუ უყურებთ ეხლა ღვთისოს დაღვრემილ სახეს: ეხლა იგი წინანდელ ღვთისოს ანარეკლია... პატარა კაცუნა... ვიწრო ოჯახურ კაკანათელაში მომწყვდეული... ამ კაკანათელას იქით სხვა გზას ვერ ჰხედავს. სხვა ვარსკვლავებს ველარ შეჰხარის... ყოველისფერი დახშულია... ყოველისფერი.

მიუხედავად ამისა, ღვთისოს საკმაო ძალა მოეპოვებოდა, რომ უმეტყველო არსების უღელი ეწია. იგი ყოველისფერს აიტანს, ყოველისფერს, მაგრამ ამხანაგების მუდმივ საყვედურსა და გაკიცხვას კი ვერა. ეს მას ანადგურებს. სულიერად მიწაზე ნართხავს. აი, ეხლაც,ამ ფიქრთა იერიშის დროს, იგი ჰგრძნობს შებოჭვილობას. საითაც გაიწევს, წაიქცევა. მაშ თუ წაქცევაა, ნუ თუ არა სჯობდა ამხანაგებთან წაქცეულიყო? ახლა სინანულის გზას დაადგა. უზომოდ აყვედრიდა თავს, ამხანაგებს რად ჩამოვშორდით. ხომ ქარხანაც დაიკეტა, იქიდან გამოტანით ვერაფერს გამოიტანს და ამხანაგების თვალშიც ასე გაშავებული რჩება. მაშ ღირსია ტანჯვისა, ღირსია ყოველგვარი შეურაცხყოფის, დაე, აფურთხონ, შეაჩვენონ.

— ეჰ, მოკვდი ღვთისო, მოკვდი. უმჯობესია შენთვის... ცოლშვილიც მშიერი გყავს და იქაც სახელი შეირცხვინე...

მოთავსებული, უტყუარ და სამწუხარო მაგალითებს იძლევა, მოგვყავს ერთი ადგილი:

„საინგილოში იმდენად გაძლიერდა მძულვარება ქართველებისადმი და ყოველივე იმისადმი რაც კი ქართველობას მოაგონებდათ, რომ ყოველივე საზღვარს გადაივიდნენ. მრავალს სოფლებში პირდაპირი დადგენილება ჰქონდათ, რომ დედებს ამიერიდგან ქართული აღარ ესწავლებინათ ბავშვებისათვის, რათა სრულიად მოსპობილიყო ქართველობა საინგილოში“.

დღეს ისტორიის ჩარხი შეტრიალდა. ეროვნულ შეგნების აფეთქებასა და განმტკიცებას რეალი საფუძველი მიეცა. არის იმედები, რომ ქართველთ ცხოვრებაში ეროვნობა სარწმუნოებას დაამარცხებს, ან უკედ შეიტკბობს და შეიგუებს მას.

საცაა ეროვნება გამოცხადდება იმ სინტეზად რომელიც დაიტევს ყოველგვარ კერძოობას. სხვა და სხვაობას და წინააღმდეგობას, ეს შეიძლება მარტოდ მარტო სწავლა-განათლების საშუალებით. განსაკუთრებული ყურადღება მაჰმადიან ქართველებს უნდა მიექცეს. ყოველი შეგნებული ქართველი მოვალეა ხელი შეუწყოს ამ პროცესის დაჩქარებას. ხოლო ქართულ საზოგადოებათა და დაწესებულებათა შორის, ქ. შ. წერა-კითხვის საზოგადოებას ყველაზედ უფრო ევალება კეთილის თვალით შეხედოს ამ საქმეს და კერძოდ სასწრაფოდ მიეშველოს ნახევრად დაკარგულ საინგილოს.

ხ. კ—დია.

# ახალი ამბავი

◆ **ქალაქის საბჭო.** 1 სექტემბერს, საღამოს 9 საათზე, ქალაქის მოურავის ა. ი. ხატისოვის თავმჯდომარეობით, შესდგა ქალაქის საბჭოს საგანგებო კრება. თავმჯდომარემ პირველად კრებას მოახსენა, 23 აგვისტოს გამოქვეყნებულ, ხელმწიფე იმპერატორის სურვილი იმის შესახებ, რომ მომქმედ ჯარისა და ფლოტის სარდლობა მისმა უდიდებულესობამ თითონ იკისრა. ამასთანავე თავმჯდომარემ წაიკითხა ქალაქის გამგეობის მიერ შემუშავებული ტექსტი დეპეშისა, რომელიც ქალაქის მოურავმა მეფის მოადგილის საშუალებით მის უდიდებულესობას, ხელმწიფე იმპერატორს, გაუგზავნა. შემდეგ თავმჯდომარემ მოახსენა კრებას უმაღლესი რესკრიპტი დიდის მთავრის ნიკოლოზ ნიკოლოზის ძის სახელობაზე იმის შესახებ, რომ მისი უმაღლესობა ხელმწიფემ მიიწვია თავისს მოადგილედ კავკასიაში და კავკასიის ჯარების მთავარსარდლად. აგრედვე წაკითხულ და საბჭოს მიერ მოწონებულ იქმნა დეპეშის ტექსტი, რომელიც ქალაქის მოურავმა გაუგზავნა მის უმაღლესობას ნიკოლოზ ნიკოლოზის ძეს. ამის შემდეგ თავმჯდომარის მიერ წაკითხულ იქმნა უმაღლესი რესკრიპტი მეფის მოადგილის გრაფ ი. ი. ვორონცოვ-დაშკოვის სახელობაზე შესახებ იმისა, რომ ხელმწიფემ საჭიროდ სცნო თანამდებობიდან გადაეყენებია ის. ამასთანავე საბჭომ მოისმინა და მოიწონა გამგეობის მიერ შედგენილი დეპეშა, რომელიც ბ-ნმა ხატისოვმა, როგორც ქალაქის მოურავმა, გაუგზავნა გრაფს ვორონცოვ-დაშკოვს. შემდეგ თავმჯდომარემ საბჭოს მოახსენა მოსკოვის ქალაქის მოურავის ბ-ნ ჩელნოკოვის დეპეშის შინაარსი, საიდანაც სჩანს, რომ 7 სექტემბრიდან მოსკოვში გაიხსნება მთელი რუსეთის ქალაქთა კავშირის წევრთა წარმომადგენლების კრება. ვინაიდან თბილისიც შედის წევრად კავშირში, ამიტომაო,—განაცხადა ბ-ნმა ხატისოვმა,—ჩვენც შეგვიძლიან ჩვენი წარმომადგენლების გაგზავნა კრებაზე მონაწილეობის მისაღებადო. საბჭომ თავის დელეგატებად აირჩია შ. ვ. მესხიშვილი, ა. ს. ბაბოვი და ი. მ. დოლუხანოვი. დასასრულ თავჯდომარემ კრებას მოახსენა გამგეობის დადგენილება ა. ს. ბაბოვის წერილობითი წინადადებაზე იმის შესახებ, რომ მოწვეულ იქმნას მეხუთე კრება კავკასიის ქალაქების მოღვაწეთა, რომელთაც საშუალებანი უნდა გამონახონ სურსათის სიძვირის წინააღმდეგ და უცხო ქვეყნებიდან გადმოხვეწილებს დახმარება აღმოუჩინონ. გამგეობას ამის შესახებ ის დადგენილება გამოუტანია, რომ კავკასიის ყველა ქალაქის მოღვაწენი ზრუნავენ ამ ჟამად აღნიშნულ მოვლენაზე და ყველანი დამზადებულ-შემუშავებული მასალით მოვლენ კრებაზე; ამიტომ ყოვლად სასურველია ამ ჟამად მათი ერთად შეკრება და ამის შესახებ გამგეობა ამ მოკლე ხანში დასაბუთებულ მოხსენებას წარმოუდგენს საბჭოსო.

კრებას დაესწრენ მოსკოვის დეპუტატი სახელმწიფო სათათბიროში მ. მ. ნოვიკოვი (კადეტი) და მოსკოვის ქალაქის საბჭოს ხმოსანი ს. ა. ლუზინი. კრების გათავების შემდეგ მათ მოკლე მისასალმებელი სიტყვით მიმართა ა. ი. ხატისოვმა, რომელსაც მოკლე და შინაარსიანი სიტყვით უპასუხა მ. მ. ნოვიკოვმა.

◆ **მომხმარებელი საზოგადოება „მეურნე“.** ამ ამხანაგობის გამგეობამ ამ დღეებში რამდენიმე ქართველი ვაჭარი მიიწვია სათათბიროდ. ვაჭრებმა ის აზრი გამოსთქვეს, რომ ამ ჟამად ყოველგვარი საქონელი ძვირია და თან საქონლის მოტანაც სჭირს; ამიტომ მცირე თანხით ვაჭრობის დაწყება ხელს არ მისცემს ამხანაგობასო, რადგან ხარჯებს ვერ გაუძლებს და იძულებული გახდება მოქმედება შესწყვიტოსო. თუ მაინცადამაინც ამხანაგობას ამ ჟამად უნდა მოქმედების დაწყება, ვაჭრების აზრით, ყველაზე ხელსაყრელი იქნება, ჯერჯერობით ივაჭროს ფქვილით, სიმინდით, შაქრითა და მარილით. კრებაზე არჩეულ იქმნენ ბ-ნნი ხარაშვილი, გველესიანი და ლორთქიფანიძე, რომლებმაც გამგეობასთან ერთად უნდა უფრო დალაგებით გამოარკვიონ საკითხი ამხანაგობის მოქმედების შესახებ. რამოდენიმე ვაჭარმა სურვილი განაცხადა ამხანაგობის პაიების შეძენისა.

◆ **გრაფი ი. ი. ვორონცოვ-დაშკოვი** და გრაფინია ე. ა. ვარანცოვ-დაშკოვისა ამა თვის 10—15-ში ჩამოვლენ თბილისში და რამდენიმე დღის შემდეგ აქედან გაემგზავრებიან რუსეთში იმ ანგარიშით, რომ მეფის მოადგილეს, დიდ მთავარს ნიკოლოზ ნიკოლოზის ძეს, დონის როსტოვში შეხვდნენ.

◆ **მეფის მოადგილეს მობძანება.** მეფის მოადგილე, დიდი მთავარი ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე, თბილისში მობძანდება 18 სექტემბერს.

◆ **ვაჟა-ფშაველას ორმოცი.** ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოების გამგეობამ დაადგინა, ვაჟა-ფშაველას გარდაცვალების 40 დღის წირვა და პანაშვიდი 13 სექტემბერს იქმნას გადახდილი დიდუბის ეკლესიაში.

◆ **ერთდროული დახმარება.** ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოებას ერთდროულ დახმარებას სთხოვდა ოცამდე კაცი. თხოვნები ჯერ განიხილა საზოგადოების ადმინისტრატიულმა სექციამ და შემდეგ (1 სექტემბერს) გამგეობამ და დადგენილ იქმნა, 640 მანეთი გაუნაწილონ 13 სტუდენტს და წინამძღვარიანთ კარის 2 მოსწავლეს. თითო კაცს მოუწია ხსენებული თანხიდან 25—50 მანეთამდე.

◆ **სურსათი.** 31 აგვისტოს თბილისში იყო მოტანილი: ფქვილი 9 ვაგონი, ხორბალი 1 ვაგ., მარილი 3 ვაგ., კარტოფილი 4 ვაგ., ერბო 1 ვაგ., ხილი 1 ვაგ., საზამთრო 18 ვაგ., ქერი 2 ვაგ., ბზე 2 ვაგ., ფეტვი 228 ფუთი.

◆ **ხოლერა.** 1 და 2 სექტემბერს ქალაქის ლაზარეთში მიიყვანეს ხოლერიანი 13 და ხოლერის ნიშნებით 8 კაცი. ხოლერიანთა შორის არიან ვ. კაპანაძე და მ. სამაკაშვილი. გარდაიცვალა 7 ხოლერიანი და 1 ხოლერის ნიშნებით. გუშინ ლაზარეთში იმყოფებოდნენ ხოლერიანი 126 და ხოლერის ნიშნებით 16 კაცი. სამხედრო წოდებისანი არიან ხოლერიანთა შორის 43 და ხოლერის ნიშნებიანთა შორის 1 კაცი.

◆ **გადამდები სენი.** 2 სექტემბერს ქალაქის თავშესაფარში იმყოფებოდნენ: შავი სახადიანი 54, საოფლიანი 32, ქუნთრუშიანი 31, ხუნაგიანი 18, და მუცელაიანი 6 კაცი.

### აჭარა.

27 აგვისტოს კომენდანტის განკარგულებით აქაურმა ჯარის უფროსმა ზედა აჭარაში დააპატიმრა 7 კაცი. მათ აბრალებენ ჩეტნიკებთან ერთად ძარცვა-გლეჯაში მონაწილეობის მიღებას. მათ შორის ერთი სოფლის მამასახლისია.

# პრესა

ჩვენსა და „სახ. ფურცლის“ შუა მომხდარ ინციდენტს გაზეთმა „თანამედროვე აზრმა“ საგულისხმიერო წერილი უძღვნა „ფილიპიადა“, სადაც, სხვათა შორის ამბობს:

> იმ პოლემიკიდან, რომელიც გაიმართა „სახალხო ფურცლისა“ და „საქართველოს“ რედაქციათა შორის ერთი მხრით და ბ. გოგიჩაიშვილის და ადამაშვილის შორის მეორე მხრით, სჩანს, რომ ბატონი ადამაშვილი მოითხოვს გარკვეულ იქნას მთელი ისტორია, მთელი ფილიპიადა. ბ. გოგიჩაიშვილი ამის წინააღმდეგია. იგი თანახმაა მხოლოდ გადასცეს სასამართლოს გასარჩევად მთელი ფილიპიადის ერთი ეპიზოდი, რომელსაც ჰქონდა ადგილი „სახ. ფ.“ რედაქციაში.
>
> ჩვენ გვესმის, რასაკვირველია, რომ ბ. გოგიჩაიშვილისათვის არ არის სასურველი და მისაღები ბ. ადამაშვილის წინადადება, მაგრამ ის, რაც არ არის სასურველი ბ. გოგიჩაიშვილის და „სახალხო ფურცლისათვის“, სასურველია **მთელი** ქართველი საზოგადოებისათვის, ეს საჭიროა აგრეთვე აღშფოთებული გრძნობის დასაკმაყოფილებლათ. საჭიროა ვიმეორებთ, გამოტანილ იქნას მზის სინათლეზე ყოველივე სიბინძურე, რომელიც მოგროვებულია თბილი ადგილების ძებნის გარშემო.
>
> საჭიროა სასამართლო საჯარო.

რა თქმა უნდა, საჭიროა. ამ მოკლე ხანში ასეთი სასურველი საჯარო სასამართლო შესდგება კიდეც. ამისთვის შესაფერი ნაბიჯი უკვე გადადგმულია.

# რაჭა და მისი მდგომარეობა

არც შარშან წინ, არც შარშან, არც წელს მოსავალი არ მოვიდა.

საერთოდ სამყოფი მოსავალი არასოდეს არ მოდის, მგრამ წელს არც თვით მოუვიდათ და არც საშოვნელია.

რაჭაში არის მცხოვრებელი 160—200 ათასამდე. (შეიძლება ვცდებოდე რიცხვში, მაგრამ დაახლოვებით ამდენი უნდა იყვეს).

უმთავრესი მასაზრდოებელი საჭმელია რაჭველების: 1) სიმინდი, 2) პური, 3) ქერი, 4) ფეტვი და 5) ზოგან მთიულეთში კართოფილი.

შარშან რაჭაში შიმშილობის გამო, მთავრობამ, ალბათ საერობო თანხიდან, ან მაღაზიის ფულიდან, მისცა დახმარება. ზოგს მართებს 50—60 ან 100 მანეთიც. კოდი 3 მანეთად. რაჭული კოდა უდრის $2^{1}/_{2}$ ფუთს.

წელს დახმარების მაგივრად უკანვესთხოვენ წაღებულ სიმინდის სამ წილად ფასის გადახდას.

მოსავლის მდგომარეობა ასეთია

ჯერ სიმინდი ვერ დასთესეს დროზე, რადგან რაჭაში 2 მაისამდე თოვლი მოდიოდა. მერმე გამუდმებულმა წვიმებმა სულ ერთიანად გააფუჭა სიმინდი. ბევრგან ჯერ მარცვალი არ გაუკეთებია, ზოგან სრულებით მწვანეა, მხოლოდ რიონის პირად რამოდენიმე სოფლებში: (ტოლა, ხვონჭკარა, სადმელში, კვაცხუთში და ხიმშში) შეიძლება მოასწროს მომწიფება, მაგრამ იქაც არ ვარგა. ე. ი. კარგი მოსავალი არ იქნება. გარდა ამ ორი სამი სოფლისა და ისიც რიონის პირის ადგილებისა, სხვაგან სრულებით არ ელიან მოსავალს.

მთები უკვე ჩამოსთოვა და ჯერ ისედაც ცუდი სიმინდი სრულებით არ მომწიფდა.

პური საერთოდ ცოტა ითესება რაჭაში. პური მხოლოდ სადღესასწაულოდ შეიძლება სჭამონ რაჭველებმა, თორემ მთელი წლის სარჩო არავის არ მოსდის, ამიტომ მუდმივი სარჩო არის სიმინდი. პური წელს ჯერ სიცივის გამო წახდა, მერმე სეტყვამ და ნიაღვრებმა გააფუჭა და ბოლოს წვიმებმა გააუბარაქოვა და არც ის მოვიდა. მთიან სოფლებში, სადაც ქერიღა იკვებებიან, ჯერ ქერი მწვანეა და არც კი აუმკიათ ყანები. იქ ყოველთვის აკლიათ სარჩო და რა თქმა უნდა ეხლა სულ მშივრები არიან. ღები, გლოვდა, ჭიორა, შქმერი, ბრავალძალი და სხვა მთაზე მდებარე სოფლები. ფეტვს წიწილების გამოსაკვებად სთესავენ და იმისი მოსავალი არ არის ჩასაგდები, თუმცა არც ის მოდის, რადგან მთებში სთესია და ჯერაც ლურჯია ე. ი. გაფუჭდება მოუმწიფებლობით.

რაჭაში წინათ ღვინო და ხილი მოდიოდა ბლომად. უკანასკნელს წლებში ვენახები ერთიანად გადახმა და გარდა ორი სოფლისა, ტოლა და ხვანჭკარა, სადაც ძველი ვაზი დარჩა ალაგ-ალაგ და სადაც ახალი ნამყენი ვაზიცაა სრულებით არ არის. მხოლოდ აქ, სადაც დარჩენილა ვაზები ან ახალი ვაზი ჩაუყრიათ, ერთი გაზაფხულზე მოსწვა სიცივემ, მერმე სეტყვამ გაატიალა, ბოლოს უწამლობამ და ეხლაც წვიმებმა. ასე რომ, თუ დღეს რაჭაში სრულებით არ არის ღვინო, მით უმეტესად არ იქნება გაის. ხილზე ლაპარაკიც მეტია, რადგან უმრავლეს სოფლებში არა თუ არ მოვიდა ხილი, ნაყოფიერიც არ უნახავთ წელს. ბაზრული ფასები ასეთია.

**სიმინდი ადგილობრივი სრულებით არ იშოვება გასასყიდად.** (რასაკვირველია ერთმანეთში მეზობლებმა შეიძლება დაუთმონ, მაგრამ საბაზროდ გამოსატანი სრულებით არ არის).

ასევეა პური. (ადგილობრივ პურს სასყიდლად მეზობლებიც კი ვერ შოულობენ ერთმანეთში).

**იმერული სიმინდი სრულებით არ არის.** წინეთ ყოველთვის იყო. გადმოიტანეს ივლისის [illegible] ძლიერ მდარე სიმინდი [illegible] სალიგვერდიდან (ალაგირიდან) იქ გადასახლებულმა რაჭველებმა და ოსებმა. იქაური ფასები ყოფილა 40 კ.—55 კ. მხოლოდ ონში (დაბაა რაჭაში) გაყიდეს ჯერ 1 მან. 80 კაპ. და ამთვის პირველ რიცხვებში 1 მან. 60 კაპ. ფუთი. მინამდის კი იყიდებოდა 2 მანეთად, 2 მ. და 20 კაპ. გადმოტანა შეიძლება, ეხლა უკვე შესწყდეს თუ კი მთა დასთოვა.

პურის ფქვილი მხოლოდ ქუთაისიდან შეაქვთ. ქერიც გასასყიდელი არ არის მაგრამ ფასობს ისე როგორც სიმინდი ან 20 კაპ. მეტი.

ღვინო არ არის გასასყიდელი, რადგან ძლიერ გაფუჭებულია წამლით თუ წყლით თუ ოდნავ ვარგა ასეთი ადგილობრივი ღვინო იყიდება 10 მ.—15 ფუთი.

რაჭაში არ არის არც ერთი ორგანიზაცია, რომელსაც შეუძლია დახმარების აღმოჩენა დამშეულებისათვის. არ სცხოვრობს რაჭაში არც ერთი უმაღლეს სასწავლებელ გათავებული ინტელიგენტი, გარდა მოხუცი ექიმის გელოვანისა, რომელიც შორს უდგას ყოველივე საზოგადო საქმეს. (ალბად ბევრი საქმიანობის და სხვა და სხვა მიზეზების გამო); მეორე ექიმი შამშე ლეჟავაა, სცხოვრობს რაჭის საზღვარზე, მაგრამ გატაცებულია ერთი სანატორიუმის დაარსებით კავკასიონის მთის ძირში, თერგის ოლქში გადასავალთან და იმ საქმის მოგვარებას აპირებს (რაც ჩემის აზრით არც შეიძლება და არც ნაყოფს გამოიღებს) და ამიტომ შეიძლება ის დაიყოლიოს კაცმა სამუშაოდ. სხვა ადგილობრივ გარდა მღვდლებისა (ვლადიმერ ფოფხაძე, მათე გოროდეზიანი, ლონგინოზ კვიკვიძე) მძიმე ხალხია და ძნელად დაეხმარებიან საქმეს შრომით. ყველაზე უფრო ენერგიულად შეუძლია და პირნათლად შეასრულოს დახმარების საქმე ამ მღვდლებში მ. კვიკვიძეს, დაბა ონშია მასწავლებლათ. ამათ გარდა სოფლის მასწავლებლებს და ზოგიერთ კერძო პირებს შეუძლიანთ შრომის გაწევა. რაც შეეხება ადგილობრივ ადმინისტრაციას, რომელსაც სათავეში უდგას ყოფილი ქუთაისის პოლიცმეისტერი არაფერს არ დაეძებს. თვით ცხვირის წინ დაბა ონის ხიდი ისე დაინგრა, რომ მესამე წელიწადია ზურგით გააქვთ-გამოაქვთ ყველაფერი თვით ოსეთიდან 120—ვერსით მოტანილი სიმინდიც კი და ისიც არ გააკეთეს. მთელ რაჭაში ერთი ხიდი არ არის გარდა სკოდორის სასოფლო ხიდისა და არ სცდილობენ (არც ფიქრობენ) ძველ ნახიდვრებზე მაინც გასდონ ფიცრები... არის ორი სამი საკრედიტო ამხანაგობა, მაგრამ გაძვალტყავებულია და ოდნავ სულსა ღაფავს, ასე რომ თავისი თავისთვის ვერ მოუვლიათ თორემ საერთო საქმეს როგორ გაუძღვებიან.

დახმარება კი მეტად საჩქაროდ უნდა მოხდეს მინამ მთებს ჩამოსთოვდეს, თორემ მერმე შეტანა არაფრის არ შეიძლება. რაჭაში სულ ოთხი გზით შეიძლება შესვლა. ერთი ქუთაისიდან ქვემო რაჭით (ლეჩხუმზე) სამხედრო ოსეთის შარა გზით; მეორე ნაქერალის მთით და მესამეც შქმერის მთით, ეს საქართველოს მხრით, მხოლოდ რუსეთიდან შეიძლება შემოსვლა მხოლოდ იმავე ოსეთის სამხედრო გზით. ნაქერალას, შქმერის და ოსეთიდან მომავალი გზებით მხოლოდ ზაფხულობით შეიძლება სარგებლობა. ნაქერალით და შქმერის გზით მხოლოდ ცხენებით, სამხედრო გზით კი ურმებითაც შეიძლება სარგებლობა. ოსეთიდან გადმოაქვთ სიმინდი ეგრედ წოდებულ მამასონის გადასავალით ალაგირიდან (სალიგვერდას უწოდებენ რაჭველები) ცხენის ურმით. ფუთის გადმოტანა ღირს ეხლა 80 კ.—1 მანეთამდე. ურემს ერთს ცხენიანს მოაქვს 20 ფუთი სიმინდი. ხოლო ქუთაისიდან მიაქვთ კამეჩის და ხარის ურმებით, ცხენების ურმები უფრო არ არის ხმარებაში. ფუთი ქუთაისიდან მოაქვთ 40 კ.—50—70 კაპ. ან 80 კაპ. ეს საზაფხულო ფასია. ზამთარში უფრო ძვირად მიაქვთ და შეიძლება უგზოობის გამო სულაც არ წაიღონ. კამეჩის ურემს მიაქვს 60—80 ფუთ. სიმ. როგორც ზემოდ აღვნიშნე რაჭაში იქნება არა ნაკლები 160,000 მცხოვრებლისა. საერთოდ თითქმის ყოველთვის ყველა მცხოვრებელს აკლია სარჩო. კარგს მოსავალზე ძლიერ იშვიათად შეიძლება ეყოს რაჭას თავისი მოსავალი $^{3}/_{4}$ წლის[illegible] ჩვეულებრივ $^{1}/_{2}$ წელიწადი და მდა[illegible] მოსავალზე $^{1}/_{4}$ წლისა.

წლევანდელი წელიწადი რაჭ[illegible]ებისა-

---

ღვთისოს მწყემსობიდან დარჩენია რამდენიმე შემთხვევის ხსოვნა, თუ შორს მყოფს, მინდვრად, როგორ ნიშანში ამოუღია სოფლის ჯვარი, პირდაპირ ლარი გაუვლია, ძირს არ იყურებოდა, რა არის, გავიგო, რამდენად მალე მოვჭრი გზასაო. მას ისე სჩვენებია, თითქოს სწორედ მიდიოდა, ოდნავაც არ გადაუხვევია ლარისთვის, მაგრამ... დაუხედნია განვლილ ყანაზე და სასაცილო ზიგზაგები დაუნახია, მაშინ როდესაც იმავე ჯვრის პირდაპირ ძირზე ყურებით უფრო სისწორით უვლია, ოდნავი საგულისხმიერო შეცდომა არ მოსვლია გზის გადაჭრაში.

— არ გამეგება, არა...

წარმოსთქვა ქოჩრის ფხანვით. ყოველისფერი აკრთობდა, აშინებდა. გახურებული შუბლი მოსისინე ქარს მიუშვირა და სივრცეს მიაშტერა თვალები. ერთი გზა დაბნეული მერცხალი ავდრის მოლოდინს შეეფრთხო და ჰყივილით პირქარს სწრაფადა ჰკვეთდა სადმე თავშესაფარის საპოვნელად.

— ნეტავ მეც აგრე თავისუფალი ვიყო, აგრე ლაღად შემეძლოს ფრენა,—ინატრა ღვთისომ და კვლავ თავის თავს შეეკითხა,—რა ვქნა, რა, რომელ ერთ წყალში გადავვარდე? საითაც უნდა გავიქცე, სულ ერთია, წავიქცევი...

მას ისე მოეჩვენა, თითქოს გული აულაპარაკდა, არცხვენდა, რომ შენ შენი თავისადმი რატომ დაჰკარგე მტკიცე რწმენაო.

ღვთისომ თვალები მოიფშვნიტა. სანახაობა გამქრალიყო. სიზმარში ეგონა თავი. უკან მოიხედა. ნაძალადევი კვლა დაღვრემილი სახით რო დაინახა, სიზმრისა აღარა შეჰნიშნა რა. უეცრივ პირი იბრუნა და თითქმის სირბილით დაეშვა შინისკენ ისეთის რწმენით, ისეთის ძალით, რომ არც ერთს ქარიშხალს თუ ზღვის მღელვარებას მის შეჩერება ვერ შეეძლო.

(შემდეგი იქნება)

დ. კასრაძე.

თვის მეტად გლახაა. არ ეყოფა სარჩო რაჭას არც სამ თვეს, თუნდაც მეტად კარგი მოვიდეს სიმინდი. ე. ი. მეტად გამწარებული შიმშილობა დაიწყობა ზამთრის თვეებში, როცა მიწოდება არ შეიძლება.

ამ ზაფხულს ჩემის თვალით ვხედავდი მშიერ სოფლებს და იმათ შიმშილისაგან მტირალ ბავშვებს. ასე რომ ორ კაცს მივეცი თითო თუმანი და ოსეთიდან მოუტანეს (ალაგირიდან) ბავშვებს სიმინდი. რამოდენიმე ოჯახის უფროსი ვნახე გუდამოკიდებული და ილაჯ გაწყვეტილი, თვალ-ცრემლიანი ლუკმას ითხოვდა ბავშვებისთვის თვით მისივე მეზობლები სტიროდენ, როცა ხედავდენ იმის მათხოვრობის გამბედაობას. ყველა უბედურობასთან რაჭაში მძვინვარებს ღორის ჭირი, რომელმაც მოსპო ერთიანად ღორები (რაც ძვირად ფასობს რაჭაში).

ასევე მძვინვარებს საქონლის თურქული, რამაც გასწყვიტა ბევრი თხა, ცხვარი და მუშა ხარები ფეხზე ვერ დგებიან და ხშირად იხოცებიან.

საერთოდ რაჭაში მამაკაცები იშვიათად არიან სახლში, სულ სამუშაოთ არიან წასული და ეხლა მაინც მთელ სოფლებში ჯანსაღს კაცს იშვიათად შეხვდებით, ასე რომ მთელი სოფლები უპატრონოდაა დაგდებული. დედაკაცები მე ჩემის თვალით ვნახე ურმებით ამოსულიყვნენ დაბა ონში სიმინდის სასყიდათ 40—ვერსზე (ზემო კრიხიდან)

ასეთია მდგომარეობა.

ჩემის თვალ წინ ყოველ პარასკევ დღეს დაბა ონში და მის მიდამოებში დილის 11 საათიდან საღამოს 3, 4 საათამდე ისყიდებოდა ყოველ პარასკევს 100-200 მდე ურემი ე. ი. 2000 ფუთიდან 4000 ფუთამდე სიმინდი. **ხალხის ყოველთვის მაინც** ისმოდა წუწუნი; „ვაი რაღა ვქნათ სიმინდი აღარ არის და იქნებ პარასკევს არ გადმოიტანონ ალაგირიდან ოსებმაო“.

**გიორგი გორდეზიანი.**

## პოლონელთა-შორის

### პოლონეთი და გერმანია.

ამას წინად ავსტრიის პოლონელთა უზენაესმა კომიტეტმა უკმაყოფილება გამოსთქვა, „ვარშავაში შესვლა და მისი აღება ისე არ მოხდა როგორც ეს სასურველად მიაჩნდა უზენაეს კომიტეტსო“.

ავსტრო-პოლონური კომიტეტის თავმჯდომარე ვლადისლავი იავორსკი სწერს: ავსტრიის პოლონელთა სურვილი იყო, რომ იმ ჯარში, რომელმაც ვარშავა დაიჭირა, ყოფილიყო აგრეთვე თუნდ მცირე რიცხოვანი პოლონელ ლეგიონების რაზმიო. ვარშავაზე პირველ გალაშქრების დროს პილსუდსკის უფროსობით პოლონელ ლეგიონერთა ბრიგადის ყოფნა გერმანელთა თავდამსხმელ ჯარში, ერთნაირი იმედი იყო პოლონეთის ხალხისთვისო. პოლონელთა თუნდაც მცირე რიცხოვანი რაზმის შესვლა ვარშავაში იქნებოდა არა მარტო სიმბოლო უკეთესი მომავლისა პოლონელებისათვის, არამედ ერთგვარი ნუგეშიც, რომ პოლონეთის განთავისუფლების სიმძიმე მარტოდმარტო ავსტრიასა და გერმანიას არ დასწოლიაო.

იავორსკი განაგრძობს, კომიტეტმა მოითხოვა პოლონეთის სამეფოსი და გალიციის გაერთიანება, რადგანაც „ასეთი შეერთება პოლონეთის მთავარი მიწვებისა და პოლონეთის ხალხის დიდი ნაწილისა, კომიტეტის თვალში, საუკეთესო ციხესიმაგრე იქნებოდა რუსეთის წინააღმდეგო. ხოლო კომიტეტის წევრები დოქტრინიორები არ არიან არამედ რეალი პოლიტიკები და ჩვენც გათვალისწინებული გვქონდა, რომ ასეთი საკითხის გადაწყვეტის დროს, ავსტრია და გერმანია უპირველეს ყოვლისა თავის საკუთარ ინტერესებს დაიცავდენ. პოლონელების გამოთქმული მიზანი, პოლონელთა უზენაესი ნაციონალური კომიტეტის აზრით, სავსებით შეეხამება ომის იმ საიდეალო მიზანს, რომელიც არა ერთხელ გამოუთქვამს ევროპის ცენტრალ სახელმწიფოებს; რომ საჭიროა ევროპის კულტურის დაცვა საერთო მტრისგანაო.“

### პოლონელთა სკოლები მოსკოვში.

პოლონელთა საგანგებო დეპუტაცია პეტროგრადს წავიდა, რომ მთავრობისაგან გამოეთხოვა დახმარება იმ დადგენილებათა განსახორციელებლად, რომლებიც მიიღო ეხლახან მომხდარმა პოლონელთა სიეზდმა. დეპუტაციის სათავეში იყო ბატონი ლედნიცკი, რომელმაც სახალხო განათლების მინისტრს სთხოვა დახმარება გამოქცეულ პოლონელ ბავშვებისთვის საშუალო სკოლების გასამართავად. მინისტრი თანაგრძნობით მიეგება ამ წინადადებას. არც პროგრამის საკითხს და არც იმას, თუ რა ენაზედ უნდა ისწავლებოდეს საგნები, გაუგებრობა არ გამოუწვევია. მინისტრმა აგრძნობინა, რომ მთავრობა ხელს არ შეუშლის პოლონელთა ეროვნულ სკოლის მოგვარებასო.

## რუსეთის ცხოვრება

### საპარლამენტო შეთანხმება.

ეხლა ხან შემდგარ საპარლამენტო შეთანხმების პროგრამა გამოაქვეყნეს. შესდგება საიმფორმაციო ბიურო, რომელიც ცნობებს მიაწვდის და თანაც გააერთიანებს იმ ჯგუფთა თუ ფრაქციათა მოქმედებას, რომლებიც ამ შეთანხმებაში შედიან. ბიურო ხელს შეუწყობს აგრეთვე შეთანხმების პროგრამის განხორციელებას. ამ დღეებში სხდომა ექნებათ სათათბიროს იმ ფრაქციათა წარმომადგენლებს, რომლებიც ამ შეთანხმებაში შედიან. სხდომის მთავარი მიზანია გამორკვევა იმისა თუ რა გზით უნდა იქმნას გატარებული პროგრამაში აღნიშნული საკანონმდებლო ღონისძიებანი, მაგრამ ამასთან ერთად განუყოფელად ისიც უნდა იქმნას განხილული, თუ რა საშუალებით უნდა იქმნას გადაჭრილი დღევანდელი მომენტის გადაუდებელი საკითხი: აღმასრულებელი ხელმწიფების განახლება.

მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე გაეცნო საპარლამენტო ბლოკის პროგრამას და წარუდგინა იგი თვით მინისტრთა საბჭოს. სამინისტროში ზოგი მომხრეა ამ პროგრამისა და მოითხოვს ამ ბლოკთან შეთანხმებას და თანამშრომლობას, ზოგი კიდევ მისი წინააღმდეგია, საჭიროდ სცნობს სახელმ. სათათბიროს სესიის შეწყვეტას შემოდგომამდე იმ მიზნით რომ ჩაფუშონ ბლოკი და გააქარწყლონ მისი გავლენა. ამის გამო შეთანხმების დეპუტატები იმ აზრისა არიან რომ სათათბიროში წამოაყენონ საკითხი შესახებ სახ. სათათბიროს დამოკიდებულებისა ეხლანდელ სამინისტროსადმი და ახალ საზოგადო ნდობის სამინისტროს შედგენის თაობაზე. მილიუკოვმა თავის სიტყვაში ეს ხაზგასმით მოიხსენია. მაგრამ ეს საკმარისად არ არის მიჩნეული. საჭიროაო, ამბობენ, სათათბიროს ტრიბუნიდან რიგის გარეშე განცხადება შეიტანონ ამის თაობაზედ, ბლოკში შესულ ყველა ფრაქციის სახელით.

### ისტორია ამ ბლოკის დაარსებისა.

პირველი კრება საპარლამენტთაშორისო შეთანხმების ჯგუფებისა მოხდა 11 აგვისტოს. მეორე სხდომაზედ, რომელიც გაიმართა მ. მ. კოვალევსკის ბინაზე, აირჩიეს სპეციალი კომისია, რომელმაც შეიმუშავა პროექტი, რომელიც შემდეგში შეთანხმების სამირკვლად გადაიქცა. ეს პროექტი შეიმუშავეს 14 და 15 აგვისტოს. ზოგ-ზოგი ცვლილება შეიტანეს შემდეგ დღეებში 17, 19 და 22 აგვისტოს. შეთანხმება საზოგადოდ გადაწყდა 22 აგვისტოს, ხოლო ხელი 25 აგვისტოს მოაწერეს.

### საპარლამენტო ბლოკი და სახელმწიფო საბჭოს ცენტრი.

უთანხმოება იზრდება სახელმ. საბჭოს ცენტრის წევრებს შორის. რამოდენიმე წევრმა მიმართა კიდეც მემარჯვენე ცენტრის ბელადს ბ-ნ ნეიდგარტს, რომ უკმაყოფილო წევრებმა შექმნან ცალკე ჯგუფი, ეგრედ წოდებული ნეიდგარტელების ჯგუფი. ასეთი მიმდინარეობის მიზეზად ასახელებენ იმ გარემოებას, რომ ცენტრის ბევრი დანიშნული წევრი შეუძლოდ სთვლის პროგრესიული ბლოკის პროგრამის იმ პუნქტის მიღებას, სადაც პასუხისმგებელ სამინისტროზეა ლაპარაკი.

### ფინლიანდიის კონსტიტუციის აღდგენა

შრომის ჯგუფმა სახელმ. სათათბიროში შეიტანა საკანონმდებლო წინადადება იმ კანონის გაუქმებისა, რომელიც გამოიცა 17 ივნისს 1910 წელს და რომლის ძალით ფინლიანდიის ეროვნული-პოლიტიკური უფლებები შეიზღუდა. განმარტებით წერილსიტყვაში ამ კანონპროექტის ინიციატორები სხვათაშორის ამბობენ: ფინლიანდიის ხალხის უფლებები, ინტერესი და კანონი გააბათილა და დაარღვია 1910 წლის 17 ივნისის კანონმა, რომელიც შეეხებოდა ფინლიანდიისთვის კანონებისა და საერთო სახელმწიფო მნიშვნელობის დადგენილებათა გამოცემის წესებს და რომელიც ძირიანად ეწინააღმდეგება ფინლიანდიის დიდი სამთავროს უფლებებს, უპირატესობათ და ძირითად კანონებსო.

შრომის ჯგუფი მოითხოვს ფინლიანდიის ნორმალურ კონსტიტუციონურ ცხოვრების აღდგენას შემდეგ საფუძველზე.

1) გაუქმება 1910 წლ. 17 ივნისის კანონისა, რომელიც შეეხება ფინლიანდიისთვის კანონთა და საერთო სახელმწიფო მნიშვნელობის დადგენილებათა გამოცემის წესებს.

2) გაუქმება ყოველგვარ კანონის და დადგენილებისა, რომელიც მოხდა ამ 1910 წლის 17 ივნისის კანონის საფუძველზე:

### ფულით დახმარება ომისგან დაზარალებულებს.

საფინანსო კომისიამ სახელმ. სათათბიროში კანონპროექტი შეიტანა იმის შესახებ, რომ მთავრობამ დახმარება მისცეს მათ ვინც ომის გამო ამა თუ იმ სახით დაზარალებულან.

### პოლიციის დეპარტამენტის ახალი დირექტორი.

ნაცვლად ბ-ნ ბრიუნ-დე-სენტ-იპოლიტისა, საპოლიციო დეპარტამენტის დირექტორად დაინიშნა ოდესის სამოსამართლო პალატის პროკურორი ბ-ნი მოლვი, ერობის ყოფილი მოღვაწე, წევრი საერობო საკრედიტოსი და სასამართლოს თავმჯდომარე პოლტავაში...

### სკოლების გადატანა.

ვილნოს ოლქის 7 სახელოსნო სკოლა მოსკოვის ოლქში გადმოაქვთ.

---

გადაწყვეტილია, ვარშავის უნივერსიტეტი დონის როსტოვში გადმოიტანონ.

### ქალები უნივერსიტეტში.

სარატოვის დეპუტატებმა მიიღეს ორასი სარატოველ ქალისაგან დეპეშა, იშუამდგომლეთ მთავრობასთან, რომ სარატოვის უნივერსიტეტში შესვლის ნება მოგვცესო.

### გამოქცეული ებრაელების დაბინავების გამო.

პეტროგრადის ქალაქის თავმა გრაფმა ი. ი. ტოლსტოიმ წერილობით მიმართა შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგს, ვოლკონსკის, ნუღარ იქნება ებრაელების შეზღუდვა და მიეცეს გამოქცეულ ებრაელებს უფლება თავი შეაფარონ პეტროგრადსო; მინისტრის ამხანაგმა უარით უპასუხა.

### ერობათა საგანგებო კრება.

მოსკოვს გაიმართა საგუბერნიო ერობათა ხმოსნების კერძო თათბირი, საგანგებო საერობო კრების მოწვევის თაობაზედ მიმდინარე საჭიროებებზე პასუხის გასაცემად.

### ხუთი მილიონიანი ბიუჯეტი.

მის იმპერატორებითი უმაღლესობის, ტატიანა ნიკოლოზის ასულის კომიტეტის განკარგულებაში გადადებულია 5.355,000 მანეთი სექტემბრის ხარჯების დასაფარავად.

ამ ხუთი მილიონიდან შიდა გუბერნიებში მოსულ გამოქცეულების გამოსაკვებად 75,000 მანეთი გადაეცა გუბერნატორებს. ამავე მიზნით სექტემბრის მეორე ნახევარში შინაგან საქმეთა სამინისტროსაგან გადადებული იქნება 25 მილიონი.

---

მ. ი. უ. ტატიანა ნიკოლოზის ასულის კომიტეტმა ხუთი მილიონიდან ჯერ 50.000 მ. გადასდო სომეხთა კათალიკოსის გასაგზავნად, გამოქცეულ სომხების მოსახმარად. მაგრამ სახელმწიფო სათათბიროს სომეხ დეპუტატის ბ-ნ პაპაჯანოვის თხოვნით დახმარება ერთი ორად გაადიდეს. სომეხთა კატალიკოსს გაეგზავნება ასი ათასი მანეთი.

## დეპეშები

**პარიჟი.** 1 სექტემბერი. საღამოს ოფიციალი ცნობა. იზერის სექტორზე, არასის, ნევილის და ვაის მიდამოებში საარტილერიო ბრძოლაა. ბოურენში ფრანგების არტილერიამ ყუმბარები დაუშინა [illegible] სიმაგრეებს.

შამპანში, არგონებში და მასის და მოზელს შუა საარტილერიო ბრძოლაა. რადგანაც ამ ბოლო დროს გერმანელების ჰაეროპლანებმა ყუმბარები ჩამოჰყარეს ლუნევილში და კომპიენში, ამის სამაგიეროდ 31 აგვისტოს დილის 4 საათზე 19 ფრანგების ჰაეროპლანი შეესია ქალაქ ტრევს და ასამდე ყუმბარები დააყარა. დაზიანებულია რკინის გზის სადგური და საიმპერიო ბანკი. იმავე ჰაეროპლანებმა 58 ყუმბარა ჩამოჰყარეს [illegible] სადგურზე.

**სტოკჰოლმი.** 31 აგვ. ბერლინიდან ოფიციალურად იუწყებიან: ზოგიერთი [illegible], რომლებსაც სამხედრო ბეგარა არ მოუხდიათ, ვალდებულნი არიან გამოცხადდნენ 2 სექტემბერს. გარდა ამისა ყველა ის ვინც კი დაბადებულა 189[illegible] წელს ვალდებულია პოლიციაში გამოცხადდეს 4 სექტემბერს. უცხო ქვეყნებში მყოფი 17 წლის ახალგაზრდები მზად უნდა იყვნენ ჯარში გასაწვევად.

**ბუქარესტი.** 30 აგვ. ამ ბოლო დროს ხმები ვრცელდება, თითქოს მთავრობა მობილიზაციას და ავსტრია-უნგრეთის საზღვრებისაკენ ჯარის გაგზავნას აპირებდეს. ოფიციალი ცნობა იუწყება, რომ ამ ხმებს ავრცელებენ ბოროტი პირები. ჯარის გადაყვან-გადმოყვანა მხოლოდ ჩვეულებრივ მანევრის მიზეზია და ამისთვის შიშს არავითარი საფუძველი აქვს.

**ლონდონი.** 1 ენკ. საადმირალო იუწყება: მტრის ჰაეროპლანმა გაითარეშა კენტის სანაპიროებზე და რამდენიმე ყუმბარა ჩამოაგდო. დაზიანდა სახლი. დაიჭრა ოთხი კაცი. ჰაეროპლანი იძულებული გახდა გაქცეულიყო, რა კი მას ინგლისელთა ავიატორები დაედევნენ.

**სოფია.** 31 აგვ. სავერჯიშოდ მოწვეულნი, 1912 წ. ჯარისკაცები, დღეს განთავისუფლებულნი იქმნენ.

**რომი,** 31 აგვ. იტალიის მთავრობა ამრავლებს ჯარის რიცხვს და დიდის სიჩქარით განაგრძობს მუშაობას სამხედრო სურსათისა და საზამთრო ტანისამოსის დასამზადებლად. ჩვენი ჯარისკაცნი, რომელნიც გამოიქცნენ ავსტრიის ტყვეობიდან—ამჟამად იმყოფებიან გენუაში. იწერებიან, რომ მათ ძალიან კარგად შეხვდენ ადგილობრივი მცხოვრებნი და სამხედრო მთავრობა.

**პეტროგრადი.** 29 აგვ. „მთავრობის ჩვენებათა და განკარგულებათა კრებულში“ გამოქვეყნებულია კანონი გამოქცეულთა მდგომარეობის უზრუნველსაყოფად.

**ვაშინგტონი.** 1 ენკ. ბერნსტორფმა ჟურნალისტებს აუწყა თავის საუბარის შინაარსი ლანსინგთან, რომ „არაბიკას“ დაღუპვის საქმე კეთილად დამთავრდებაო.

**პეტროგრადი.** 1 ენკ. მთელ აგვისტოს განმავლობაში ოქრო შემოსწირეს 143,578 მან. 50 კ. საფასურისა.

### ჩვენი ფოსტა.

**მღვდ. მიხეილ ბუაჩიძეს.**

თქვენი წერილი ევ. ლეონიდეს საპასუხოდ პირადი ხასიათისაა და ამიტომ ვერ იბეჭდება. [illegible] თვით ლეონიდეს [illegible] წერილობით უკედ განგიმარტავთ საქმის ვითარებას.

რედაქტორ-გამომცემელი
**სანდრო შანშიაშვილი**

## კახეთის რკინის გზის მიმოსვლა

### (დრო ადგილობრივ საათით არის ნაჩვენები)

თბილისიდან გადის: ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით; უკან ბრუნდება: სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

### თბილისიდან გადის:

| | | | |
|---|---|---|---|
| თბილისიდან . . . | 8 ს. | 13 წ. | დილ. |
| ნავთლუღ-ამიერ-კავ. . | 8 „ | 40 „ | „ |
| ნავთლუღ-კახეთ. . . | 8 „ | 58 „ | „ |
| ვაზიანიდან . . . | 10 „ | 06 „ | „ |
| ივრიდან . . . | 21 „ | 15 „ | „ |
| საგარეჯოდან . . . | 11 „ | 58 „ | „ |
| ბადიაურიდან . . . | 12 „ | 56 „ | „ |
| მელაანიდან . . . | 2 ს. | 16 წ. | სად. |
| გურჯაანიდან . . . | 2 „ | 37 „ | „ |
| კარდენახიდან . . . | 4 „ | 12 „ | „ |
| წნორის-წყალზე . . . | 4 „ | 44 „ | „ |

### გურჯაანიდან-თელავამდე № 7.

| | | | |
|---|---|---|---|
| გურჯაანიდან . . . | 3 ს. | 42 წ. | სად. |
| ვაჩნაძიანიდან . . . | 4 „ | 33 „ | „ |
| თელავში . . . . | 5 „ | 27 „ | „ |

### თბილისისკენ მოდის:

| | | | |
|---|---|---|---|
| წნორის-წყლიდან . . | 8 ს. | 58 წ. | დილ. |
| კარდანახიდან . . . | 9 „ | 41 „ | „ |
| გურჯაანიდან . . . | 10 „ | 24 „ | „ |
| მელაანიდან . . . | 11 „ | 39 „ | „ |
| ბადიაურიდან . . . | 12 „ | 59 „ | დღ. |
| საგარეჯოდან . . . | 2 „ | 80 „ | „ |
| ივრიდან . . . . | 2 „ | 50 „ | „ |
| ვაზიანიდან . . . . | 3 „ | 55 „ | „ |
| ნავთლუღ-კახეთ. . . | 4 „ | 58 „ | „ |
| ნავთლუღ-ამიერ-კავ. | 5 „ | 13 „ | „ |
| ბილისში , . . . | 5 „ | 28 „ | „ |

### თელავიდან-გურჯაანამდე № 8.

| | | | |
|---|---|---|---|
| თელავიდან . . . | 8 ს. | 54 წ. | დილ. |
| ვაჩნაძიანიდან . . . | 2 „ | 58 „ | „ |
| გურჯაანში . . . | 10 „ | 07 „ | „ |

## ამიერ-კავკასიის რკინის გზის მიმოსვლა

### (დრო ნაჩვენებია თბილის. საათით)

### თბილისში მოდის:

| | | | |
|---|---|---|---|
| № 3 ბაქოდან . . . | 12 ს. | 54 წ. | დღ. |
| № 4 ბათომიდან . . | 5 ს. | 55 წ. | სად. |
| № 5 ბაქოდან (სწრაფი) | 7 ს. | 41 წ. | სად. |
| № 10 ბათომიდან. . | 9 ს. | 51 წ. | დილ. |
| ჯულფიდან . | 6 ს. | 53 წ. | დილ. |
| ბორჯომიდან . | 7 ს. | 25 წ. | დილ. |
| „ სააგარ. | 10 ს. | 28 წ. | სად. |

### თბილისიდან გადის:

| | | | |
|---|---|---|---|
| № 3 ბათომისკენ . . | 1 ს. | 45 წ. | დღ. |
| № 4 ბაქოსკენ . . | 7 ს. | 3 წ. | სად. |
| № 6 ბაქოს (სწრაფი) | 12 ს. | 8 წ. | დღ. |
| № 9 ბათომისკენ . . | 8 ს. | 53 წ. | სად. |
| ჯულფისკენ . | 10 ს. | 23 წ. | სად. |
| ბორჯომისკენ | 3 ს. | 29 წ. | დღ. |

წიგნის მაღაზია
„ახალი სიტყვა“ („НОВАЯ РѢЧЬ“).
ი. დ. კიკნაძისა.
თბილისი. გოლოვინის პროსპექტი, 22, ტელეფონი 6—23.

გვაქვს ყოველნაირი ახალი წიგნი; ვკისრულობთ ყოველნაირ ბიბლიოთეკის შედგენას: საზოგადოს, საეროს, საქარხნოს, სასკოლოს, საბავშვოს და სხ.

განმანათლებელ საზოგადოებათა და სასწავლებელთა მიერ დაკვეთილი წიგნები განსაკუთრებულ მორიგებით; ქალაქგარეთიდან დაკვეთას ვასრულებთ ორ დღეში. წერილით ანუ პირადად ნაყიდი წიგნები შეიძლება ჩვენვე მივიტანოთ სახლში. (წ.—35)

თევზის მრეწველნი
ძმ. მეგვინეთუხუცესოვები
პუშკინის ქუჩა, საკუთ, სახ, № 9, ტელეფონი № 712.
განყოფილება ავლაბარში
კახეთის ქუჩა, საკუთ. სახ. № 7. ტელეფონი № 712.

ყოველდღე მოგვდის საკუთარ და სავაჭრო სახლ. „ლ, მაილოვის-ძვით“, სამრეწველოებიდან ახალი ქვირითის ხიზილალა, მცირე მარილიანი, შავი „მეშოჩნი“ ხიზილალა, აგრეთვე ახალ-ახალი მტკვრის ზუთხი, თართი, ფარგა და ლოქო. გვაქვს აგრეთვე მიღებული ყოველგვარი კონსერვები და სარდინკები რუსეთისა და საზღვარ-გარეთის ფირმებისა ხანგრძლივ ინახება.

ელექტრომბეჭდავი სპირიდონ ლოსაბერიძისა, მოსკოვის ქ., № 5.

ნებადართულია სამხედრო ცენზორისაგან